ბრძანება N 229

„01“ 11 2018 წელი
ქ. თბილისი

გაკვეთილის გეგმის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე და 56-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცებული მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის, „გარე დაკვირვების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის N102/ნ ბრძანებით დამტკიცებული გარე დაკვირვების წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მხარდაჭერის ქვეპროგრამის - გარე დაკვირვების მენეჯერის 2018 წლის 01 ნოემბრის N1410099 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გაკვეთილის გეგმის ფორმა დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (tpdc.gov.ge) განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6. 0131).

ბერიკა შუკაკიძე

დირექტორი

გაკვეთილის გეგმის ფორმა

N---

მასწავლებლის სახელი, გვარი:

პირადი ნომერი:

საგანი:

სწავლების საფეხური / კლასი:

მოსწავლეთა რაოდენობა[1]:

გაკვეთილის თემა:

გაკვეთილის მიზანი:

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:

გთხოვთ, მოკლედ დაასაბუთოთ, რამდენად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ გეგმაში კონკრეტული კლასის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები (მაგ., გაკვეთილის მიზნის შესაბამისობა მისაღწევ შედეგებთან, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო მიზნის, თემის/თემების შესაბამისობა სასწავლო წლის მოცემულ პერიოდთან და ა.შ.)

---

[1] მასწავლებელმა უნდა მიუთითოს, თუ რამდენი მოსწავლეა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და მოახდინოს შესაბამისი აქტივობების მოდიფიცირება.

№	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილება სასწავლო მიზანთან მიმართებით)	დრო (წთ.)
1					
2					
3					
4					

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

შეფასება:

(მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები და/ან რუბრიკები თან უნდა ერთვოდეს გეგმას)

ხელმოწერა:

თარიღი: